მაკროფინანსური დახმარება საქართველოსათვის
150 მილიონ ევრომდე

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს,

როგორც სესხის მიმღებს

და

ევროკავშირს,

როგორც სესხის გამცემს,

შორის

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს და ევროკავშირს შორის

1. 2020 წლის 25 მაისს ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ((EU) 2020/701 გადაწყვეტილება) გაფართოების და სამეზობლოს ქვეყნებისთვის გამოეყო მაკრო-ფინანსური დახმარება COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფარგლებში.[1] გადაწყვეტილება ხელმისაწვდომს ხდის საქართველოსთვის (შემდგომში „ქვეყანა") მაკრო-ფინანსურ დახმარებას (შემდგომში „დახმარება") 150 მილიონ ევრომდე სესხის სახით. დახმარება ხელმისაწვდომი იქნება ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში „ურთიერთგაგების მემორანდუმი") ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლით.

2. ამ დახმარების მიზანია საგარეო დაფინანსების შეზღუდვების, საგადამხდელო ბალანსისა და საბიუჯეტო საჭიროებების შემსუბუქება, უცხოური ვალუტის სარეზერვო პოზიციების გაუმჯობესება, ქვეყანაში არსებული საგარეო და ფინანსური ფაქტორების შემსუბუქება. ევროკავშირის აღნიშნული დახმარება წარმოადგენს დამატებას იმ რესურსზე, რომელიც გამოყოფილია ქვეყნისთვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და ორმხრივი დონორების მიერ ხელისუფლების ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეფორმების მხარდამჭერი პროგრამებისთვის.

3. დახმარება ჩამოირიცხება ორ ნაწილად, თითოეული 75 მილიონ ევრომდე ოდენობით.

4. დახმარების პირველი ნაწილი ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის და თანმხლები სასესხო შეთანხმების ხელმოწერისა და ძალაში შესვლის შემდეგ და დამოკიდებული იქნება ქვეყანასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (შემდგომში „IMF") მიერ შეთანხმებული ვალდებულებების დამაკმაყოფილებლად განხორციელების პირობებზე.

   დახმარების მეორე ნაწილის ჩამორიცხვა პრინციპში არ განხორციელდება პირველი ნაწილის ჩამორიცხვიდან სამი თვემდე ვადაში.

   დახმარების მეორე ნაწილის ჩამორიცხვა დამოკიდებული იქნება IMF-თან შეთანხმებული ვალდებულებების დამაკმაყოფილებლად განხორციელებაზე და ევროკომისიიდან (შემდგომში „კომისია") ევროკავშირის სახელით დადებით შეფასებაზე, რომელიც დაკავშირებულია მაკროეკონომიკური და სტრუქტურული ზომების გაუმჯობესებასთან. ამ დახმარებასთან თანდართული პოლიტიკის პირობები დაფუძნებულია ეკონომიკურ სტაბილიზაციაზე და ქვეყნის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული რეფორმების პროგრამაზე და შეესაბამება ქვეყანასა და IMF-ს შორის მიღწეულ შეთანხმებას. შესაბამისად, აღნიშნული დახმარების ხელმისაწვდომად გახდომამდე, კომისია, ხელისუფლების წევრებთან და IMF-ის თანამშრომელებთან ერთად გადაამოწმებს, რომ ზემოხსენებულ დახმარებასთან თანდართული პირობები ადეკვატურად შესრულებულია ან მიღწეულია ახალი შეთანხმება.

5. კომისიის მიერ თანხის მეორე ნაწილის ჩამორიცხვამდე საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები მიაწვდიან მასთან დაკავშირებული პირობების შესრულების შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს. საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებისგან

---

[1] OJ L 165, 27.5.2020 გვ. 31-37.

შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე კომისია, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლების კონსულტაციებზე დაყრდნობით შეაფასებს პირობების შესრულების პროგრესს. ამ შეფასებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რეფორმებს საჯარო ფინანსების მართვაში, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბიზნესის გარემოს მიმართულებით და ასევე, სექტორულ რეფორმებს, სახელმწიფო საწარმოების ჩათვლით. პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებები და მოცემული შეფასებისთვის მითითებები მოცემულია დანართ I-ში. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია უარი თქვას დახმარების თანხის ნაწილების ჩამორიცხვაზე, სანამ ქვეყანა უზრუნველყოფს პირობების შესაბამისობას. საჭიროების შემთხვევაში, დანართი I შეიძლება შესწორებულ იქნას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ევროკავშირის და ქვეყნის მიერ ასეთი შეთანხმების შესაბამისი პროცედურების შემდგომ.

6. კომისია აგრეთვე გააგრძელებს საქართველოს დაფინანსების საჭიროებების განსაზღვრას და შესაძლოა შეამციროს, შეაჩეროს ან გააუქმოს დახმარება, იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების საჭიროებები ფუნდამენტალურად შემცირდა ჩამორიცხვის პერიოდში პირველად დაგეგმვასთან შედარებით.

7. კომისია ჩამორიცხავს დახმარების ნაწილებს ევროს ანგარიშზე, რომელიც გახსნილი აქვს ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში „მიმღები") საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში „აგენტი"). ქვეყნის საბიუჯეტო დაფინანსების საჭიროების გათვალისწინებით, სესხის თანხა გამოიყენება ქვეყნის ბიუჯეტის დასაფინანსებლად.

8. დახმარების განხორციელების პერიოდში საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები მიაწვდიან კომისიას ყველა ინფორმაციას, რაც საჭიროა მისი ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციის მონიტორინგისთვის და სტრუქტურული რეფორმების პროგრესის შესაფასებლად. კერძოდ, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოები დროულად მიაწვდიან კომისიას ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართ 2-ით განსაზღვრულ ინფორმაციას.

9. დახმარების გამოყენებისას დარღვევებისა და თაღლითობის თავიდან აცილების და ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სასესხო შეთანხმების შესაბამისი დებულებები იქნება გამოყენებული, კერძოდ, სადაც მოცემულია ქვეყნის მიერ ევროკავშირის დახმარების რეგულარული შემოწმების პროცესი და კომისიის, მათ შორის ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (OLAF), ევროპის აუდიტორთა სასამართლოს და ევროპის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმება, აუდიტი და გამოძიება. აგრეთვე, თუ ქვეყანა ჩართულია მოცემული დახმარების მართვასთან დაკავშირებულ თაღლითობაში, კორუფციაში ან სხვა არალეგალურ საქმიანობაში ამოქმედდება სასესხო შეთანხმების დებულებები თანხის დროზე ადრე დაბრუნებასთან დაკავშირებით.

10. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის პერიოდის და ბოლო ნაწილის ჩამორიცხვიდან 5 წლის შემდეგ კომისიას, წარმოდგენილს საკუთარი აგენტებით ან მისი სათანადო მანდატით აღჭურვილი ექსპერტებით, უფლება აქვს ჩაატაროს ოპერატიული შეფასებები ქვეყნის ან აგენტის ადმინისტრაციული პროცედურების და ფინანსური სქემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის მაკრო-ფინანსურ დახმარებასთან.

11. დახმარების შემდგომი დამოუკიდებელი შეფასება შეიძლება განხორციელდეს კომისიის ან მისი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული პროცესის დროს ქვეყანა უზრუნველყოფს ყველა ინფორმაციის მიწოდებას კომისიისათვის, რომელიც წარმოდგენილია მისი საკუთარი აგენტებით ან შესაბამისი მანდატის მქონე ექსპერტებით. შეფასების ანგარიში კომენტარებისათვის ხელმისაწვდომი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოებისათვის.

12. ხელისუფლება უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობას.

13. აღნიშნული დახმარება ხორციელდება იმაზე დაყრდნობით, რომ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოები აგრძელებენ დემოკრატიული მექანიზმების პატივისცემას, მათ შორის მრავალპარტიული პარლამენტის და კანონის უზენაესობის ჩათვლით და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების პატივისცემას და ასოციაციის შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელებისადმი დამაკმაყოფილებელ პროგრესს.

14. დანართები I და II წარმოადგენენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

15. ყველა შეტყობინება წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმთან დაკავშირებით ითვლება საფუძვლიანად თუ ის გაგზავნილია წერილობით შემდეგ მისამართებზე:

საქართველოსათვის

ფინანსთა სამინისტრო

გორგასალის ქუჩა 16

თბილისი 0114, საქართველო

ასლი გადაეცემა
საქართველოს ეროვნული ბანკი

სანაპიროს ქუჩა 2

თბილისი 0114, საქართველო

ევროკავშირისათვის

ევროკომისია

გენერელური დირექტორატი ეკონომიკურ და

ფინანსურ საკითხებში

CHAR 11/248

B-1049, ბრიუსელი, ბელგია

16. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ხელმოწერილი იქნება საქართველოს და ევროკავშირის მიერ და რატიფიცირებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

17. ურთიერთგაგების მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები წერილობით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ცვლილება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შევა იმავე წესით, რა წესითაც ძალაში შევიდა წინამდებარე მემორანდუმი.

ხელი მოეწერა თბილისში 2020 წლის 10 სექტემბერს და ბრიუსელში 2020 წლის 22 სექტემბერს ოთხ დედნად ინგლისურ ენაზე.

საქართველოსათვის
როგოც ბენეფიციარისათვის

(ხელმოწერა)

ბ-ნი ივანე მაჭავარიანი
ფინანსთა მინისტრი

ევროკავშირისათვის

(ხელმოწერა)

ბ-ნი პაოლო გენტოლონი
ევროკომისიის წევრი

საქართველოს ეროვნული ბანკი
როგორც ბენეფიციარის ფინანსური აგენტი

(ხელმოწერა)

ბ-ნი კობა გვენეტაძე
პრეზიდენტი

დანართი I
სტრუქტურული რეფორმების ღონისძიებები

კომისიის თანამშრომლების მიერ შემოწმების მომენტისათვის, რომელიც წინ უსწრებს <u>მეორე ნაწილის</u> ჩამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოს შესაბამისი უწყებები იღებენ ვალდებულებას შესრულებული იყოს შემდეგი ღონისძიებები:

საჯარო ფინანსების მართვა

1. **სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს** მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, როგორც ეს განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულებით, მიღებულ იქნას განახლებული სამართლებრივი ჩარჩო ამ ორგანოსთვის და უზრუნველყოფილ იქნას მზაობა მისი ფუნქციონირებისათვის 2021 წლიდან (თანამშრომლები, ბიუჯეტი).

2. ადეკვატური და მდგრადი საპენსიო სისტემის უზრუნველყოფისა და საპენსიო ფონდის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც მართავს ახლახანს ამუშავებულ დაგროვებითი პენსიის ნაწილს, ა) დამტკიცდეს **სახელმწიფო პენსიების შესახებ საქართველოს კანონში** ძირითადი სახელმწიფო პენსიების ინდექსირებისათის საჭირო წესებზე დაფუძნებულ მექანიზმებთან დაკავშირებული ცვლილებები; და ბ) შემუშავდეს და დამტკიცდეს **საპენსიო ფონდის საინვესტიციო სტრატეგია.**

მმართველობა

3. კომპანიების მართვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შესამცირებლად და ბიზნესის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, მიღებულ იქნას **მეწარმეთა შესახებ კანონი,** კომპანიების შესახებ ევროკავშირის სამართლის დირექტივების შესაბამისად.
4. სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კომპანიების მართვის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდეს და დამტკიცდეს **კორპორაციული მართვის სტანდარტები სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიებისთვის** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპების შესაბამისად, მათ შორის იმ პრინციპების, რომლებიც გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოში გამჭვირვალე და დამსახურებაზე დაფუძნებულ დანიშვნებს, და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დირექტივების განხორციელების პროგრესის შესახებ რეგულარული ანგარიშის პირველ გამოქვეყნებას.

5. **სასამართლო სისტემის** დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება, სასამართლო სისტემის რეფორმების შესახებ 2017 და 2019 წლებში მიღებული ორი პაკეტის შესაბამისად: ა)გააძლიერებს გამჭვირვალობას და დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის კრიტერიუმებს პირველადი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებიში მოსამართლეთა დანიშვნისას, კერძოდ, მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ დასაბუთების გამოქვეყნებით, ერთიანობისა და კომპეტენციის კრიტერიუმების გათვალისწინებით; ბ) წარუდგენს პარლამენტს კანონპროექტს უზენაეს სასამართლოში დანიშვნებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის No. 949/2019 დასკვნის შესაბამისად, კერძოდ, რომელიც ეხება დანიშვნებთან დაკავშირებულ შეშფოთებას და გაკვირვებას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხმის მიცემის ღიაობას და ამ უკანასკნელის მხრიდან ნომინაციების დასაბუთების აუცილებლობას; გ) თავს შეიკავებს უზენაეს სასამართლოში ამჟამად არსებული წესების ფარგლებში დანიშვნების განხორციელებისგან; დ) მიიღებს კანონმდებლობას, რომელიც განახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებას 2019 წლის ივნისიდან, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული წესების შემუშავებით.

სექტორული რეფორმები

6. გაზრდილი ენერგოეფექტურობის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღწევის მიზნით, შენობებში ენერგოეფექტურობის და ენერგოეფექტურობის შესახებ კანონების მიღების შემდეგ, ა) მიღებულ იქნას რეგულაციები, რომლებიც დაადგენს მინიმალურ მოთხოვნებს და განსაზღვრავს ეროვნულ მეთოდოლოგიას **შენობებში ენერგოეფექტურობის დონის** დასადგენად, ენერგეტიკის საზოგადოების ხელშეკრულების შესაბამისად; და ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნას **ენერგოეფექტურობის განყოფილება,** რომელიც იქნება სრულად ფუნქციონირებადი, შესაბამის თანამშრომელთა შემადგენლობთ.

შრომითი ბაზარი

7. 2019 წლის დეკემბრის შრომითი ბაზრის სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ა) იმისათვის, რომ დაეხმაროს საჯარო მომსახურების მიმწოდებლებს, უკეთ გაართვან თავი COVID-19-ის შედეგად შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი მტკიცებულება შრომით ბაზარზე სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით, დაამტკიცოს **კანონი დასაქმების სერვისების შესახებ;** ბ) იმისათვის, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო COVID-19-ის შემდგომ კონტექსტში, გაზარდოს **შრომით ინსპექტორთა** რაოდენობა 80-მდე.

დანართი II

მონიტორინგის სისტემა

1. მაკროეკონომიკური და ფინანსური ვითარების და პოლიტიკის მონიტორინგი

ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების განხორციელების პერიოდში შესაბამისი უწყებები კვარტალურად გამოაქვეყნებენ ან მიაწვდიან კომისიას შემდეგ მონაცემებს და ანგარიშებს.

ა) ფინანსთა სამინისტროს მიერ მისაწოდებელი ინფორმაცია

- მშპ და ეროვნული შემოსავალი (კვარტალურად)
- მშპ-ს ძირითადი კომპონენტები (კვარტალურად)
- დასაქმება და უმუშევრობის დონე (კვარტალურად)
- მთავრობის ნაერთი და ცენტრალური შემოსავლების და ხარჯების დონე და შემადგენლობა, ასევე მთავრობის დავალიანებები (კვარტალურად)
- ცენტრალური ხელისუფლების საგადამხდელო ბალანსი (კვარტალურად)
- მთავრობის საგადამხდელო ბალანსი (წლიურად)
- საგარეო სახელმწიფო ვალი და (პროცენტი და ძირითადი თანხა) გადახდები (კვარტალურად)
- საშინაო სახელმწიფო ვალი და (პროცენტი და ძირითადი თანხა) გადახდები (კვარტალურად)
- საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალის 2020-2022 წლებისთვის დაგეგმილი კვარტალური გადახდები (პროცენტი და ძირითადი თანხა) (კვარტალურად)
- სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასები (თვიურად)
- მთავრობის ფასიანი ქაღალდების ცვლადი პერიოდის საპროცენტო განაკვეთები (თვიურად)

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისაწოდებელი ინფორმაცია

- ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი და პერიოდი (თვიურად)
- ბანკების საერთო საპროცენტო განაკვეთი (თვიურად)
- საგადამხდელო ბალანსი და ძირითადი კომპონენტები (კვარტალურად)
- საერთაშორისო სარეზერვო პოზიცია (თვიურად)
- ნომინალური ორმხრივი გაცვლითი კურსი ევროსა და დოლართან მიმართებაში (თვიურად)

2. სტრუქტურული პოლიტიკის მონიტორინგი

ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების განხორციელების პერიოდში I დანართში განსაზღვრული რეფორმების განხორციელების შესახებ მონაცემები და/ან ინფორმაცია მიეწოდოს კომისიას ქვეყნის შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ (კომისიის მოთხოვნის შესაბამისად), განსაკუთრებით კი ინფორმაცია შემდეგთან დაკავშირებით:

- უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს დანიშნულ მოსამართლეთა რაოდენობა; იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომელთა დანიშვნა განხორციელდა საჯარო წერილობითი დასაბუთების თანხლებით;
- შრომის ინსპექციის მიერ დასაქმებულ შრომის ინსპექტორთა რაოდენობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საგარეოდაწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანთა ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0193/1-20
თარიღი/DATE 23.09.2020
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia